

# ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი



## ოფშორული კომპანიები საქართველოში - რისკები და რეკომენდაციები

აპრილი, 2016

### შინაარსი

შესავალი.....	2
ოფშორში რეგისტრირებული კომპანიების მიერ სახელმწიფოსთვის ქონების ჩუქება .....	3
ოფშორში რეგისტრირებული რუსული კომპანიები საქართველოში .....	5
ოფშორული ზონებიდან საქართველოში შემოსული ინვესტიციები 2003-2015 წლებში .....	8
შეჯამება.....	9
რეკომენდაციები .....	11

## შესავალი

აპრილის დასაწყისში გამოქვეყნდა „პანამის დოკუმენტების“ სახელით ცნობილი კონფიდენციალური დოკუმენტების ბაზა, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ ასზე მეტი პოლიტიკოსი, მათ შორის თორმეტი ამჟამად მოქმედი მსოფლიო ლიდერი და მათი ოჯახები, იყენებდნენ ოფშორში რეგისტრირებულ კომპანიებს ფულის გასათეთრებლად და გადასახადებისგან თავის ასარიდებლად.<sup>1</sup>

„პანამის დოკუმენტები“ შეიცავს ოფშორში რეგისტრირებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი იურიდიული კომპანიის მოსაკ ფონსეკას (Mossack Fonseca)-ს მილიონობით დოკუმენტს, რაც ანონიმური წყაროებით აღმოჩნდა გერმანულ გაზეთ Süddeutsche Zeitung-ის ხელში.<sup>2</sup> ამ უკანასკნელმა დოკუმენტები გაუზიარა „საგამოძიებო ჟურნალისტების საერთაშორისო კონსორციუმს“ (ICIJ), საიდანაც ინფორმაცია მთელს მსოფლიოში გავრცელდა.<sup>3</sup>

„პანამის დოკუმენტების“ გასაჯაროება არის მსგავსი მონაცემების გამოქვეყნების მსოფლიოში უპრეცედენტო შემთხვევა. დოკუმენტების რაოდენობით იგი გაცილებით აჭარბებს როგორც ვიკილიქსის მიერ 2010 წელს გასაჯაროებულ მონაცემებს, ისე ედვარდ სნოუდენის მიერ გავრცელებულ მასალებს.<sup>4</sup> პანამის დოკუმენტების გამოქვეყნების შედეგად გადადგა ისლანდიის პრემიერ-მინისტრი და ესპანეთის ტრანსპორტის მინისტრი, შვეიცარიის და სხვა ევროპული ქვეყნების სამართალდამცავმა სტრუქტურებმა დაიწყეს საგამოძიებო მოქმედებები, ხოლო 2016 წლის 14 აპრილს ევროპარლამენტის პრეზიდენტის კონფერენციაზე ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება<sup>5</sup> პანამის დოკუმენტების საქმესთან დაკავშირებით სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე.<sup>6</sup>

როგორც გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან გამოჩნდა, ოფშორულ ზონებში კაპიტალის მქონე პირებს შორის არის საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი და საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი. ივანიშვილი

---

<sup>1</sup> პანამის დოკუმენტები — მოკლედ და გასაგებად, *საინფორმაციო პორტალი NEWS.ON.GE*, მოპოვებულია 12 აპრილი, 2016, <http://bit.ly/25J6ftK>

<sup>2</sup> F.Obermaier et al., “About the Panama Papers”, *Süddeutsche Zeitung*, მოპოვებულია 07 აპრილი, 2016, <http://panamapapers.sueddeutsche.de/articles/56febff0a1bb8d3c3495adf4/>

<sup>3</sup> The Panama Papers, *The International Consortium of Investigative Journalists*, მოპოვებულია 07 აპრილი, 2016, <https://panamapapers.icij.org/>

<sup>4</sup> L.Harding, “What are the Panama Papers? A guide to history's biggest data leak”, *The Guardian*, მოპოვებულია 07 აპრილი, 2016, <http://www.theguardian.com/news/2016/apr/03/what-you-need-to-know-about-the-panama-papers>

<sup>5</sup> EP inquiry committee into Panama Papers, *European Parliament*, მოპოვებულია 15 აპრილი, 2016, <http://www.europarl.europa.eu/news/en/news-room/20160414IPR23111/EP-inquiry-committee-into-Panama-Papers>

<sup>6</sup> ევროპარლამენტი ე.წ პანამის ჩანაწერებთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიას შექმნის, *euronews.ge*, მოპოვებულია 15 აპრილი, 2016, <http://www.euronews.ge/archives/4922>

ფლობს ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე 2011 წელს დაარსებულ კომპანია „ლინდენ მენჯემენტს“. აღნიშნული კომპანიის მფლობელობა ბიძინა ივანიშვილს არც 2012 წელს და არც 2013 წელს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში არ აქვს მითითებული.<sup>7</sup> <sup>8</sup> რაც შეეხება დავით კეზერაშვილს, რომელსაც საქართველოში ფულის გათეთრების, უკანონო შემოსავლის მიღებისა და ასევე მითვისება-გაფლანგვის მუხლებით აქვს ბრალი წაყენებული,<sup>9</sup> გავრცელებული დოკუმენტების მიხედვით, მან 2008 წელს მინისტრის თანამდებობის დატოვების შემდეგ სამი კომპანია გახსნა ოფშორულ ზონაში.<sup>10</sup>

IDFI წლების განმავლობაში წერდა ოფშორებში რეგისტრირებული კომპანიების შესახებ. ქვემოთ წარმოგიდგინთ გასული წლების განმავლობაში IDFI-ის მიერ გაანალიზებულ შემთხვევებს ოფშორული კომპანიების შესახებ და ასევე ოფშორული ზონებიდან საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის ანალიზს.

## ოფშორში რეგისტრირებული კომპანიების მიერ სახელმწიფოსთვის ქონების ჩუქება

2013 წელს IDFI-მ გამოიკვლია 2006-2012 წლებში სახელმწიფოსთვის კერძო სამართლის იურიდიული პირების წილების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) პრაქტიკა<sup>11</sup>. როგორც ანალიზიდან გაირკვა, ოფშორში რეგისტრირებული კომპანიები ხშირად გამოიყენებოდა სახელმწიფოსთვის წილების უსასყიდლო გადაცემისთვის.

კერძოდ, აღნიშნულ კომპანიებს შორის დაფიქსირდა შპს „ლოგოსი“ (წილის 100%)<sup>12</sup>, შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“ (წილის 70%)<sup>13</sup>, „ქართულ-ბრიტანული

---

<sup>7</sup> ბიძინა ივანიშვილის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, *საჯარო სამსახურის ბიურო*, მოპოვებულია 03 დეკემბერი, 2013, <https://declaration.gov.ge/declaration/44171>

<sup>8</sup> ბიძინა ივანიშვილის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, *საჯარო სამსახურის ბიურო*, მოპოვებულია 07 აპრილი, 2016, <https://declaration.gov.ge/declaration/945007>

<sup>9</sup> დავით კეზერაშვილი საფრანგეთში დააკავეს, *სივილ ჯორჯია*, მოპოვებულია 08 აპრილი, 2016, <http://civil.ge/geo/article.php?id=27433>

<sup>10</sup> Panama Papers: დავით კეზერაშვილს ოფშორულ ზონაში 3 კომპანია ჰქონდა, *ნეტგაზეთი*, მოპოვებულია 08 აპრილი, 2016, <http://netgazeti.ge/news/107028/>

<sup>11</sup> საკუთრების ჩუქება სახელმწიფოსთვის (2006-2012), *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)*, გამოქვეყნებულია 22 აპრილი, 2013, <https://idfi.ge/ge/private-property-donation-to-georgian-state-2006-2012->

<sup>12</sup> ლოგოსის წილის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა, *საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა*, გამოქვეყნებულია 13 თებერვალი, 2013, <http://opendata.ge/ka/request/10970>

<sup>13</sup> საქართველოს ლატარიის კომპანიის წილის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა, *საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა*, გამოქვეყნებულია 13 თებერვალი, 2013, <http://opendata.ge/ka/request/10954>

ნავთობკომპანია ნაზვრევი“ (წილის 50%)<sup>14</sup>, “ქართულ-ბრიტანული ნავთობის კომპანია-ნორიო“ (წილის 50%)<sup>15</sup> და “ქართულ-ბრიტანული ნავთობკომპანია-ნინოწმინდა“ (წილის 50%)<sup>16</sup>. ამ შემთხვევებიდან განსაკუთრებით საინტერესო შეიძლება იყოს ლატარიის კომპანიის შემთხვევა, რომელიც თავდაცვის ყოფილ მინისტრს, დავით კეზერაშვილს უკავშირდება.

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ შემთხვევაში „ლექსორ კაპიტალ კორპ“-ის წარმომადგენელმა დიმიტრი ჩიქოვანმა სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა კომპანიის წილის 70%. როგორც IDFI-ის მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შედეგად მიღებული ხელშეკრულებიდან ირკვევა, ჩუქება გაფორმდა 2011 წლის 9 აგვისტოს. ხელშეკრულებას შესავლად მითითებული აქვს კომპანიის წილის 70%-ის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის მოტივაცია: „**ეროვნული ლატარიის საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მაქსიმიზაციის, სათანადო მარკეტინგული, სარეკლამო და ეროვნული ლატარიის სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების წარმატებით, ეფექტურად განხორციელებისა და მომგებიანობის უზრუნველსაყოფად**, შპს „ლექსორ კაპიტალ კორპ“-მა წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და გამოხატა ნება, უსასყიდლოდ და უპირობოდ გადასცეს შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ კაპიტალში კუთვნილი 100%-იანი წილიდან 70% წილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკუთრებაში“.

ამავე ხელშეკრულების მიხედვით **კომპანიის წარმომადგენელია დიმიტრი ჩიქოვანი, დავით კეზერაშვილის ცოლისძმა**. საყურადღებოა, რომ კომპანიის წილის 70%-ის სახელმწიფოსთვის გადაცემის შემდეგ ეკონომიკის სამინისტრომ აღნიშნული წილი მართვის უფლებით გადასცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ საქართველოს ფოსტას.

საინტერესოა თავად ლატარიის კომპანიის საქართველოს ბაზარზე შემოსვლა. შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“ მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში „**ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის გამოსავლენად**“, რის შემდეგაც, 2009 წლის ივნისში იგი გამარჯვებულად გამოცხადდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ

<sup>14</sup> ქართულ-ბრიტანული ნავთობის კომპანიის-ნაზვრევის წილის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა, *საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა*, გამოქვეყნებულია 13 თებერვალი, 2013, <http://opendata.ge/ka/request/10946>

<sup>15</sup> ქართულ-ბრიტანული ნავთობის კომპანიის-ნორიოს წილის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა, *საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა*, გამოქვეყნებულია 13 თებერვალი, 2013, <http://opendata.ge/ka/request/10950>

<sup>16</sup> ქართულ-ბრიტანული ნავთობის კომპანიის-ნინოწმინდის წილის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა, *საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა*, გამოქვეყნებულია 13 თებერვალი, 2013, <http://opendata.ge/ka/request/10948>

გამოცხადებული ტენდერის შედეგებში<sup>17</sup> ნათქვამია, რომ შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ გამარჯვება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ „სწორედ მან წარადგინა ლატარიის ჩატარებისას რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების მაქსიმალური ოდენობის თანხის გადახდის წინადადება.“ კერძოდ, შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით, კომპანიის მთლიანი დაგეგმილი შემოსავალი 10 წლის განმავლობაში იქნება 4 248 129 000 ლარი. შესაბამისად, შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში 10 წლის განმავლობაში შეადგენს 913 351 000 ლარს.

ტენდერის შედეგებიდან ორ წელიწადში კომპანიამ თავისი წილის უდიდესი ნაწილი (70%) უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს. ხოლო 2015 წელს გაირკვა, რომ კომპანიას ერიცხება 200-ზე მეტი მლნ ლარის დავალიანება. აღნიშნული დავალიანება ბევრ კითხვას აჩენს ლატარიის კომპანიის მართვასთან და სახელმწიფო რესურსების არაკეთილსინდისიერ განკარგვასთან დაკავშირებით.

## ოფშორში რეგისტრირებული რუსული კომპანიები საქართველოში

2015 წელს IDFI-მ მოამზადა ვრცელი კვლევა ქართულ ბიზნესში რუსული კაპიტალის შესახებ<sup>18</sup>, საიდანაც ირკვევა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული დამაბული პოლიტიკური ურთიერთობების მიუხედავად **ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიების გავლით რუსეთის მოქალაქეები მნიშვნელოვან კაპიტალს ფლობენ საქართველოში და აკონტროლებენ ქვეყნის რამდენიმე სტრატეგიულ ობიექტს.**<sup>19</sup>

მაგალითად, თბოსადგური შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“, რომლის ძირითადი საქმიანობა ელექტროენერჯის წარმოება და მისი რეალიზაციაა, ეკუთვნის ვირჯინიის კუნძულებზე ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ კომპანიას "გარდაბანი ჰოლდინგზ ბი.ვი.", რომლის წარმომადგენელია რუსეთის მოქალაქე დიმიტრი კნიაგინინი. ამას გარდა, „მტკვარი ენერჯეტიკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან „ინტერ რაოს“ წარმომადგენლები, რუსეთის მოქალაქეები: დიმიტრი ვოლკოვი, პაველ ოკლეი და დიმიტრი პალუნინი. იგივე კომპანია, "გარდაბანი ჰოლდინგზ ბი.ვი." ფლობს ჰიდროელექტრო სადგურებს, „ხრამჭესი 1“-სა და „ხრამჭესი 2“-ს. ამ ჰიდროელექტროსადგურების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც არიან „ინტერ რაოს“ წარმომადგენლები დიმიტრი ვოლკოვი, სერგეი ოვჩინიკოვი

<sup>17</sup> ტენდერის შედეგები, *საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*, მოპოვებულია 13 აპრილი, 2016, <http://old.mof.ge/News/3335>

<sup>18</sup> ნ. ძველიშვილი, თ. კუპრეიშვილი, „რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში“, *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)*, გამოქვეყნებულია 8 მაისი, 2015, <https://idfi.ge/ge/russian-capital-in-georgian-business-full-report>

<sup>19</sup> კვლევაში მოყვანილი ინფორმაცია კომპანიების მფლობელების შესახებ ზუსტია 2015 წლის 8 მაისის მდგომარეობით.

და იური შერბაკოვი. საინტერესოა, რომ IDFI-ის კვლევის მიხედვით “ზრამქვის” გაყიდვიდან მიღებული თანხა (99 774 000 ლარი) ქუთაისში პარლამენტის აშენებას მოხმარდა<sup>20</sup>.

როგორც ირკვევა, რუსეთში მოღვაწე ქართული წარმოშობის ბიზნესმენი დავით იაკობაშვილი ოფშორში რეგისტრირებული კომპანიების მეშვეობით მართავს „პეტროკას ენერჯი ლიმიტედს“. საინტერესოა, რომ იაკობაშვილამდე „პეტროკას ენერჯი ლიმიტედი“ საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს დავით კეზერაშვილს ეკუთვნოდა, და გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ მისგან შეიძინა კომპანიის აქტივები დავით იაკობაშვილმა<sup>21</sup>.

„პეტროკას ენერჯი ლიმიტედი“ საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობკომპანიაა, ახორციელებს საწვავის ექსპორტს ევროპიდან და აწვდის საქართველოში მოქმედ ბენზინგასამართი სადგურების სხვა ქსელს, მის მფლობელობაშია ფოთის ნავთობტერმინალები და ბენზინგასამართი სადგურების ქსელი. გარდა ნავთობკომპანიისა, დავით იაკობაშვილი, რომელიც წვენებისა და რძის ნაწარმის მწარმოებელი რუსული კომპანიის, “ვიმ ბილ დანის” ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქციონერია, ფლობს ოფშორულ კომპანია Milarm International Corp, რომლის მეშვეობითაც მართავს სარეკლამო კომპანიებს საქართველოში.

სავარაუდოდ, კვლავ ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ კომპანიებს შორის გარიგების მეშვეობით მოხდა “პეტროკას ენერჯი ლიმიტედის” 49%-იანი წილის გადაცემა რუსული კომპანია “როსნეფტისთვის” 2014 წელს. „როსნეფტის“ 69.50%-ს ასევე რუსული კომპანია “როსნეფტგაზი” ფლობს, რომლის 100%-იანი მესაკუთრე რუსეთის სახელმწიფოა. აღნიშნულ გარიგებასთან დაკავშირებით საპარლამენტო უმცირესობისა და საზოგადოების გარკვეული ნაწილის პროტესტის საპასუხოდ საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ხელს ვერ შეუშლიდა ორ ბიზნეს სუბიექტს შორის ხელშეკრულების გაფორმებას, და იქიდან გამომდინარე, რომ „ტრანზაქცია მოხდა ოფშორულ ანგარიშებზე. ჩვენ,

<sup>20</sup> გ.თუშურაშვილი, „ახალი პარლამენტის მშენებლობის ხარჯები და დაფინანსების სქემა“, *Opendata Blog, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, (IDFI)*, გამოქვეყნებულია 10 დეკემბერი, 2012, <https://opendatablog.wordpress.com/2012/12/10/axali-parlamentis-mseneblobis-xarjebi-da-dafinansebis-sqema/>

<sup>21</sup> “როსნეფტი” საქართველოში იკიდებს ფეხს, *რადიო თავისუფლება*, გამოქვეყნებულია 30 დეკემბერი, 2014, ნანახია 19 აპრილი, 2016, <http://www.radiotavisupleba.ge/content/rosnefti-sakartvelos-bazarze/26769358.html>

სამწუხაროდ, ამ ტრანზაქციის კონტროლის არანაირი საშუალება არ გვაქვს<sup>22</sup>. მსგავსი შინაარსის განცხადება გააკეთა აგრეთვე ენერჯეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ.<sup>23</sup>

ასევე ოფშორულ ზონასთან და რუსეთის მოქალაქეებთან მიდის საქართველოში ოქროს საბადოზე მომუშავე კომპანიების მფლობელების ისტორიაც. კერძოდ, ამ კომპანიებს ფლობს ოფშორულ ზონაში, ნიდერლანდებში რეგისტრირებული Rich Metals Group, რომელსაც რუსი მილიარდერები, დმიტრი ტროიცკი და დმიტრი კორჟიევი მართავენ. კომპანია Rich Metals Group-მა შეიძინა სს “მადნეული” და შპს “კვარციტი”. გარიგების შემდეგ შპს “კვარციტს” დაერქვა “არ ემ ჯი გოლდი” (RMG Gold), სს “მადნეულს” კი RMG Copper.

აგრეთვე ოფშორული კომპანიები ფლობენ კავშირგაბმულობის კომპანია “მობიტელს”, რომელიც საქართველოში „ბილაინის“ სახელით ოპერირებს. “მობიტელის” ოფიციალური მფლობელები ოფშორული კომპანიები არიან „ვოთერთრაილ ინდასტრიზ“ (51%) „ინვესტიკო ალიანსე“ (29%) და მირენ ინვესტ (20%). კომპანიის 47.9% რუსი ოლიგარქის, მიხაილ ფრიდმანის კუთვნილი კონსორციუმის ალფა ჯგუფის წევრ Altimo-ს ეკუთვნის. მასვე ეკუთვნის მინერალური წყლების კომპანია “შპს აიდიეს ბორჯომი საქართველო”. სწორედ „ბილაინს“ სურდა მსხვილი ინტერნეტ-პროვაიდერის კავკასუს ონლაინის შექმნა და საქართველოს ინტერნეტ ბაზარზეც დამკვიდრება, რასაც ასევე მოყვა საზოგადოების პროტესტი.

რუსეთის მოქალაქეების ხელშია აგრეთვე სს "ელმავალშენებელი". 2005 წელს რუსულმა Dema Computers-მა კომპანიის აქციათა 51% შეიძინა. Dema Computers-ს გადაერქვა სახელი და ახლა ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულია როგორც Loko trans Holding. 2015 წლის მდგომარეობით მას „ელმავალშენებლის“ აქციათა 87% ეკუთვნის.

---


<sup>22</sup> კვირიკაშვილი: ვერ მივიღებ ბრალდებებს, რომ ქონებას რუსულ კომპანიებზე ვყიდით, *ნეტგაზეთი*, მოპოვებულია 13 აპრილი, 2016, <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/39974/>

<sup>23</sup> კახა კალაძე: ჩვენ არანაირი ბერკეტი არ გაგვაჩნია, რომ "როსნეფტთან" დაკავშირებული ტრანზაქციები ჩავშალოთ, *Business Press News (BPN)*, მოპოვებულია 13 აპრილი, 2016, <http://bit.ly/1lyo8kd>

## ოფშორული ზონებიდან საქართველოში შემოსული ინვესტიციები 2003-2015 წლებში

როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების<sup>24</sup> ანალიზი გვაჩვენებს, წლების განმავლობაში ოფშორული ზონებიდან საქართველოში მილიონობით აშშ დოლარის ინვესტიციები ხორციელდებოდა.

როგორც ქვემოთ მოყვანილი დიაგრამიდან ჩანს, 2003-2015 წლებში ოფშორებიდან საქართველოში შემოსული ყველაზე დიდი თანხა დაფიქსირდა 2007 წელს - 371 109 900 ათასი აშშ დოლარი. თუმცა, 2013 და 2015 წლებში მოხდა ოფშორებში საქართველოდან ინვესტიციების გადინება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი უარყოფითი ბალანსი.



როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, 2003-2015 წლებში ოფშორული ზონებიდან საქართველოში ჯამურად ყველაზე დიდი პირდაპირი ინვესტიცია შემოვიდა დიდი

<sup>24</sup> პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოპოვებულია 13 აპრილი, 2016, [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=139&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo)



ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებიდან - 563 338 100 აშშ დოლარი, მეორე ადგილზეა კვიპროსი - 253 677 900 აშშ დოლარი, ხოლო მესამეზე პანამა - 192 164 700 აშშ დოლარი. <sup>25</sup>

ოფშორებიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში (ათასი აშშ დოლარი)														ჯამი ქვეყნების მიხედვით
www.idfi.ge														
ქვეყნები	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	
პანამა	-	-	-	3,391.6	6,177.7	-2,470.0	74,742.2	-5,025.0	2,181.5	9,802.7	25,750.0	70,663.5	6,950.3	192,164.7
კვიპროსი	675.7	21,333.1	47,537.3	40,071.2	148,643.6	26,165.8	-1,612.1	40,387.7	10,358.7	38,684.6	-106,439.9	-5,101.3	-7,026.9	253,677.9
ბაჰამები	-	-	-	-	-3.2	-	-	-	184.4	417.9	-430.7	-	-	168.5
ბელიზი	155.7	-	695.0	-264.2	10,306.5	37,822.5	3,100.7	689.1	28,118.0	14,907.4	-7,158.3	36,987.2	18,680.9	144,040.5
ვირჯინის კ-ები (ბრიტ.)	6,225.5	6,893.6	4,900.2	58,586.2	187,815.5	156,847.3	35,434.2	40,235.9	42,119.9	19,804.0	36,169.7	-2,551.3	-29,142.8	563,338.1
კაიმანის კ-ები	-	-	-	2,972.0	3,104.9	-7,007.3	2,161.1	12,332.3	21,660.4	6,529.1	6,362.3	905.1	-29,232.2	19,787.8
გიბრალტარი	115.1	-	90.2	955.4	6,127.5	5,307.0	4,089.0	-23,573.7	-802.9	-630.0	469.1	545.6	530.8	-6,777.1
ლიბანი	133.5	177.2	84.7	-7,869.9	135.9	212.1	-	102.3	1,250.2	-460.9	74.1	210.5	51.6	-5,898.8
ლიხტენშტაინი	-	-	-	-	2,662.7	5,016.0	1,912.9	35,044.6	-8,466.3	1,678.7	-7,070.0	-1,199.4	150.2	29,729.5
მავრიკი	-	-	-	-	-	-	-	-98.5	13,701.4	5,029.4	4,942.7	-350.6	19,004.3	42,228.8
მარშალის კ-ები	-	-	-	3,197.7	1,450.4	1,501.2	2,766.6	7,788.7	10,728.2	4,996.2	-589.3	3,465.8	5,149.8	40,455.4
ფილიპინები	-	-	-	-	-	-	-	1,620.3	-	-	-	-	-	1,620.3
სეიშელები	-	-	-	-	4,688.3	4,350.5	1,481.6	5,467.5	8,637.3	8,761.5	702.7	-1,639.4	8,280.3	40,730.2
<b>სულ</b>	<b>7,305.5</b>	<b>28,404.0</b>	<b>53,307.4</b>	<b>101,040.0</b>	<b>371,109.9</b>	<b>227,745.1</b>	<b>124,076.2</b>	<b>114,971.2</b>	<b>129,671.0</b>	<b>109,520.8</b>	<b>-47,217.5</b>	<b>101,935.8</b>	<b>-6,603.6</b>	

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით<sup>26</sup> აგრეთვე ირკვევა, რომ 2003-2015 წლებში საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 13 611 225 100 აშშ დოლარი, საიდანაც ოფშორულ ზონებზე ჯამურად მოდის 1 315 265 700 აშშ დოლარი, რაც მთლიანი პირდაპირი ინვესტიციების დაახლოებით 10%-ს შეადგენს. რასაკვირველია, საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოური ინვესტიციების ზრდას, თუმცა IDFI მიიჩნევს, რომ პოტენციურად საფრთხის შემცველია ის გარემოება, როდესაც ოფშორული ზონების გამოყენების გამო უცნობი რჩება ინვესტიციების დაახლოებით მეათედის რეალური წარმომავლობა.

## შეჯამება

ოფშორულ ზონაში კომპანიის რეგისტრაცია ბევრ ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკაა. ბიზნესის რეგისტრაციის ამ გზას არაერთი ბიზნესმენი თუ საინვესტიციო ჯგუფი მიმართავს, მაგ. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მათ სურთ ზოგიერთი სახელმწიფოს თუ კრიმინალური დაჯგუფების მიერ ბიზნესზე არაკანონიერი ზემოქმედების პრევენცია. თუმცა, როგორც ეს პანამის დოკუმენტებმა აჩვენა, ბევრი ბიზნესმენი თუ პოლიტიკოსი

<sup>25</sup> საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 მაისის №132<sup>25</sup> დადგენილებით განისაზღვრა შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნების ჩამონათვალი, რითიც შეიცვალა 2010 წლის დადგენილება<sup>25</sup>. 2013 წლის დადგენილებით, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნების ჩამონათვალი შემცირდა 79-დან 66-მდე.

<sup>26</sup> პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოპოვებულია 13 აპრილი, 2016, [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=139&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo)

ოფშორულ ზონებს იყენებს უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისა თუ გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით.

ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირის საქმიანობა საქართველოშიც დაშვებულია და წინააღმდეგობაში არ მოდის კანონმდებლობასთან. მიუხედავად ამისა, ასეთი კომპანიების საქმიანობა ცალსახა რისკებს შეიცავს: როგორც ირკვევა, საქართველოში არაერთი შემთხვევაა, როდესაც ქონების, მათ შორის სახელმწიფო ქონებისა და სხვადასხვა სტრატეგიული ობიექტების (მაგ. ენერგეტიკა, წიაღისეულის მოპოვება) მფლობელი კომპანიები ოფშორულ ზონებშია რეგისტრირებული და მათზე ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია. ცნობილია შემთხვევები, როდესაც ოფშორში რეგისტრირებული კომპანიების მეშვეობით საზოგადოებისთვის უცნობი ფინანსური ჯგუფები ან პირები ფლობდნენ და ფლობენ მედია საშუალებებსაც. მაგალითად, 2011 წელს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მიღებამდე ოფშორულ ზონაში იყვნენ რეგისტრირებული ტელეკომპანია “რუსთავი 2”-ისა და ტელეკომპანია “მზის” მფლობელები<sup>27</sup>. ასევე დღემდე ოფშორშია რეგისტრირებული შპს ყოველკვირეულ საინფორმაციო-ანალიტიკურ ჟურნალ ტაბულას 51% წილის მფლობელი კომპანია UCG Green Power-ი, რომელიც თავის მხრივ პანამაში რეგისტრირებულ Rylf Management-ს ეკუთვნის<sup>28</sup>. მედია საშუალებების (მაუწყებლები, ონლაინ და ბეჭდური გამოცემები, საინფორმაციო სააგენტოები და სხვა) განკარგვა ოფშორში რეგისტრირებული კომპანიების მეშვეობით კი განსაკუთრებით მგრძნობიარე საკითხია, რუსეთის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომის, ისევე როგორც მედიის პოლიტიკური გავლენებისგან განთავისუფლების კონტექსტშიც. ოფშორებთან დაკავშირებით რისკების მიმოხილვისას შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

- **ანგარიშვალდებულება** - ოფშორში რეგისტრირებული კომპანიები საკუთარ წესდებას, ზუსტი მფლობელების ვინაობას, ხელშეკრულების პირობებსა და სხვა დეტალებს არ აქვეყნებენ იმ ქვეყნის საჯარო რეესტრში, სადაც მოღვაწეობენ. შესაბამისად, საზოგადოებისთვის შეუძლებელი ხდება იმის გადამოწმება, თუ ვისი ინტერესები დგას ქვეყანაში მოქმედი ამა თუ იმ მსხვილი ბიზნესის უკან, რაც ზრდის კორუფციული გარიგებების და ინტერესთა შეუთავსებლობის პოტენციური შემთხვევების რისკებს.

<sup>27</sup> “რუსთავი 2” და “მზე” სააკაშვილის მეგობრის ოჯახის საკუთრებაში, *ნეტგაზეთი*, მოპოვებულია 13 აპრილი, 2016, <http://netgazeti.ge/news/12147/>

<sup>28</sup> მსხვილი მედიასაშუალებების მფლობელები – მათი გავლენიანი კავშირები და ბიზნესინტერესები, *საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო*, მოპოვებულია 13 აპრილი, 2016, <http://www.transparency.ge/node/4127>

- **უსაფრთხოება** - მიუხედავად საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობისა, რუსეთის მოქალაქეები ოფშორში რეგისტრირებული კომპანიების მეშვეობით აკონტროლებენ არაერთ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტს საქართველოს ეკონომიკაში. სახელმწიფოს არ აქვს არანაირი ბერკეტი ოფშორულ ზონებში განხორციელებულ გარიგებებზე ზემოქმედებისა.
- **ფულის გათეთრება და ზეწოლა ბიზნესზე** - ოფშორული კომპანიები თავად ხელისუფლების წარმომადგენლებმაც შეიძლება გამოიყენონ ფულის გათეთრების, კორუფციის ან ბიზნეს სუბიექტებზე უკანონო ზეწოლის განსახორციელებლად.
- **გადასახადებისგან თავის არიდება** - პანამის დოკუმენტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ არაკეთილსინდისიერი ბიზნეს ჯგუფები ოფშორულ კომპანიებს იყენებენ იმისთვის, რომ დამალონ შემოსავალი და თავიდან აირიდონ გადასახადების გადახდა, რითაც ზიანი ადგება სახელმწიფო ბიუჯეტს.

## რეკომენდაციები

ინფორმაციის თავისუფლებს განვითარების ინსტიტუტი (IDFI) მოუწოდებს:

**საქართველოს პროკურატურას** - გამოიძიოს ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიების მეშვეობით სახელმწიფო ქონების არამიზნობრივი განკარგვის, კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის, ფულის გათეთრებისა და გადასახადების გადახდისგან თავის არიდების შემთხვევები, ისევე როგორც მაღალი თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივ დეკლარაციებში ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიების შესახებ ინფორმაციის დამალვის ფაქტები.

**საქართველოს პარლამენტს** - დაეყრდნოს ევროპარლამენტის პრაქტიკას და შექმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიების გავლენას საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

**საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს** - განსაზღვროს ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროები (მაგ: ენერჯეტიკა, წიაღისეულის მოპოვება, პორტები, რკინიგზა, ბექდვითი და ახალი მედია და ა.შ.) და მიიღოს საკანონმდებლო რეგულაციები რომელიც უზრუნველყოფს ოფშორული კომპანიების მფლობელთა შესახებ ინფორმაციის მაქსიმალურ საჯაროობას, როგორც ეს 2011 წელს სატელემაუწყებლო სფეროსთან დაკავშირებით მოხდა.